



## სარჩელი ადმინისტრაციულ საქმეზე

თბილისის საქალაქო სასამართლოს  
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას  
მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

შტამპის ადგილი

### მოსარჩელე:

1. ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“	1. 204952676	1. 0179, თბილისი, ფალიაშვილის 39ბ, 4სართ.
2. ნატო სუბარი		2. მესტიის მუნიციპალიტეტი, ჭუბერი;
3. ლილე ჩხეტიანი		3. მესტიის მუნიციპალიტეტი, ჭუბერი;
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი)

ალტერნატიული მისამართი სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

2223874

სახლის ტელ. სამსახურის ტელ. მობილური ფაქსი ელექტრონული ფოსტა

### მოსარჩელის წარმომადგენელი:

1. დავით ჭიპაშვილი		1. 0179, თბილისი, ფალიაშვილის 39ბ, 4სართ.
2. ეთერი გვრიტიშვილი		2. 0179, თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N12ბ.
სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

2. ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი EMC“

1. [dchipashvili@greenalt.org](mailto:dchipashvili@greenalt.org)  
2. [e.gvritishvili@gmail.com](mailto:e.gvritishvili@gmail.com)

სახლის ტელ. სამსახურის ტელ. მობილური ფაქსი ელექტრონული ფოსტა

### მოპასუხე:

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ.#6.
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი <span style="margin-left: 20px;">ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი)</span>

ალტერნატიული მისამართი სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.. სამსახურის ტელ. მობილური ფაქსი ელექტრონული ფოსტა

### საკონტაქტო პირი:

სახელი, გვარი სახლის ტელ. მობილური ელექტრონული ფოსტა

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: [forms@hcoj.gov.ge](mailto:forms@hcoj.gov.ge) სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: [www.hcoj.gov.ge](http://www.hcoj.gov.ge)

# სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

დასაბარებელი პირის სტატუსი

სახელი, გვარი		პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი	
ალტერნატიული მისამართი			სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი	
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

## დავის საგანი

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან. ქვემოთ მიუთითეთ თქვენს კანონიერ ინტერესზე, თუკი გსურთ აღიარებითი სარჩელის ადვრთა.

## დავის არსის მოკლე მიმოხილვა

მითითებული დავა შეეხება მესტიის მუნიციპალიტეტში, ჭუბურის და ნაკრას თემების ტერიტორიებზე, სს „ნენსკრა ჰიდროს“ მიერ დაგეგმილ 280 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის მშენებლობასა და ექსპლუატაციას.

პირველი მოსარჩელე, წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაციას, რომლის საქმიანობის ძირითად მიმართულებას გარემოსდაცვითი საკითხები, მათ შორის ჰიდროენერგეტიკული პროექტების განვითარების შედეგად ადგილობრივი სოციალური და ეკოლოგიური გარემოს დაცვის უზრუნველყოფა წარმოადგენს, ხოლო მეორე და მესამე მოსარჩელები წარმოადგენენ უშუალოდ იმ თემის, (ჭუბურის თემი) მაცხოვრებლებს, სადაც დაგეგმილია საპროექტო სამუშაოები.

2019 წლის 4 თებერვალს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა გამოსცა ბრძანება N2-110 „სს „ნენსკრა ჰიდროს“ ნენსკრა ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილ ცვლილებებზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“. ბრძანების თანახმად, მინისტრმა მიიღო გადაწყვეტილება რომ სს „ნენსკრა ჰიდროს“ ნენსკრა ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებები არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

სკრინინგის გადაწყვეტილების მისაღებად სს „ნენსკრა ჰიდროს“ მიერ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარდგენილი ანგარიშის თანახმად, დაგეგმილმა ნენსკრა ჰესის პროექტმა, რომელზეც 2015 წლის ოქტომბერში გაიცა დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, განიცადა მნიშვნელოვანი ტექნიკური, ტექნოლოგიური და რაც მთავარია, ადგილმდებარეობის ცვლილებები. აქვე უნდა აღნიშნოს, რომ ნენსკრა ჰესის პარამეტრების ცვლილებასთან ერთად, საპროექტო არეალში და მთლიანად ჭუბურის ხეობაში, 2018 წლის 5 ივლისს განვითარებული სტიქიური მოვლენის შედეგად, შეცვლილია ბუნებრივი და სოციალური გარემოც. ეს გარემოება არ იყო ასახული სკრინინგის გადაწყვეტილების მისაღებად წარდგენილ ანგარიშში.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს უნდა ეხელმძღვანელა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ქვეპუნქტით, რომლის თანახმად, საქმიანობა ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას; ვინაიდან, მიუხედავად იგივე სახელწოდებისა, განსახილველად წარდგენილი იყო ახალი პროექტი (განსხვავებული ტექნიკური გადაწყვეტით, შეცვლილი მდებარეობით და შეცვლილი გარემო პირობებით), რომელიც წარმოადგენს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის პირველი დანართით განსაზღვრულ საქმიანობას (2 მეგავატი და მეტი).

## დავის ფაქტობრივი გარემოებები

### 1. ფაქტობრივი გარემოება

2019 წლის 17 იანვარს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა: „სკრინინგის განცხადება - მესტიის მუნიციპალიტეტში, სს „ნენსკრა ჰიდროს“ ნენსკრა ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებები“. განცხადების თანახმად, სს „ნენსკრა ჰიდრო“ მესტიის მუნიციპალიტეტში გეგმავდა ნენსკრა ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში ცვლილებების შეტანას. დაგეგმილი საქმიანობის სკრინინგის განცხადებასთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენა შესაძლებელი იყო 2019 წლის 28 იანვრამდე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში. განსახილველად წარმოდგენილი იყო:

1. ნენსკრა ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებები - სკრინინგის ანგარიში -150 ფურცელი;
2. ნაკრას დამბის და წყალგამტარი გვირაბის განთავსების ტერიტორიის გეოლოგიური პირობები, თბილისი 2017 - 111 ფურცელი (აქედან მხოლოდ 26 ფურცელია ქართულ ენაზე, დანარჩენი 85 ფურცელი, მათ შორის: დანართი 1 - ჭაბურღილების ლითოლოგიური სვეტები; დანართი 2 - შეღწევადობის ტესტები; დანართი 3 - ლუჟონის ტესტები; დანართი 4 - გეოფიზიკური კვლევები - მხოლოდ ინგლისურ ენაზე);
3. ნენსკრა ჰეს-ი, საქართველო (პროექტირების ძირითადი ეტაპი) გეოფიზიკური კვლევები, ტექნიკური ანგარიში, ნოემბერი 2016 - 20 ფურცელი;
4. ნენსკრა ჰესი, საქართველო, საბაზისო პროექტი, ნენსკრას ასფალტით მოსახული ქვანაყარი კაშხლის (AFRD) ფილტრაციისა და სადრენაჟო სისტემა სადრენაჟო სისტემის შეფასება, ტექნიკური ანგარიში, დეკემბერი, 2016 - 49 ფურცელი;
5. ნენსკრა ჰესი, საქართველო, საბაზისო პროექტი, გაჟონვის ანალიზი რიცხვითი მოდელირებით, 2016 წლის დეკემბერი - 90 ფურცელი (აქედან, 52 ფურცელი, მათ შორის: დანართი „ა“ გაჟონვის მგრძნობელობის ანალიზი - ცხრილები და ნახაზები; დანართი „ბ1“ გაჟონვის ანალიზის შედეგები - ჩამკეტი კედლის ძირი ზღვის დონიდან 1250 მ; დანართი „ბ2“ გაჟონვის ანალიზის შედეგები - ჩამკეტი კედლის ძირი ზღვის დონიდან 1235 მ; დანართი „ბ3“ გაჟონვის ანალიზის შედეგები - ჩამკეტი კედლის ძირი ზღვის დონიდან 1225 მ - წარმოდგენილია მხოლოდ ინგლისურ ენაზე);
6. ნენსკრას ჰიდროელექტროსადგური, საქართველო, საბაზისო პროექტი, ჰიდროლოგიური კვლევა, 2016 წლის დეკემბერი - 51 ფურცელი;
7. ნენსკრას ჰიდროელექტროსადგური, საბაზისო პროექტი, მიმყვან გვირაბთან დაკავშირებული რისკები და ექსკავაციის მეთოდები, რისკების შეფასება, 2016 წლის დეკემბერი - 29 ფურცელი;
8. ნენსკრა ჰესი, საქართველო, დეტალური პროექტი, ბუნებრივი საფრთხეების რისკების შეფასება - მულტივი ნაგებობები, ტექნიკური ანგარიში, 2018 წლის ოქტომბერი - 128 ფურცელი.

ჯამში 628 ფურცელი, აქედან 137 ფურცელი არასახელმწიფო ენაზე იყო წარმოდგენილი.

**მტკიცებულება** - დანართი #1. - 2019 წლის 17 იანვარს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული „სკრინინგის განცხადება - მესტიის მუნიციპალიტეტში, სს „ნენსკრა ჰიდროს“ ნენსკრა ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებები“ და თანდართული დოკუმენტი.

### 2. ფაქტობრივი გარემოება

გამოქვეყნებულ სკრინინგის განცხადებაზე თანდართული სკრინინგის ანგარიშის თანახმად: „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ, ნენსკრას მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაცემული იქნა 2015 წლის ოქტომბრის თვეში, რის შემდეგაც სს „ნენსკრა ჰიდრო“-ს მიერ მოწვეული იქნა პოტენციური დამფინანსებელი რამდენიმე საერთაშორისო

საფინანსო ორგანიზაცია (EBRD, IFC). აღნიშნულმა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებმა, პროექტის საკუთარ გარემოსდაცვით და სოციალურ პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, მოითხოვეს ბუნებრივი და სოციალური გარემოს დამატებითი კვლევების ჩატარება. საპროექტო ტერიტორიებზე დამატებითი კვლევები ჩატარდა 2015-2016 წლებში, კერძოდ: დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროლოგიური კვლევები, ბიოლოგიური და სოციალური გარემოს დამატებითი კვლევები და სხვა.

ბუნებრივი და სოციალური გარემოს დამატებითი კვლევების შედეგების საფუძველზე, პროექტის ოპტიმიზაციის მიზნით, შემუშავებული იქნა რამდენიმე საპროექტო ცვლილება, მათ შორის:

- კაშხლის ღერძის ცვლილება - მარჯვენა ბურჯი **გადაადგილება** 100 მ-ით ზედა ბიეფის მიმართულებით, ხოლო მარცხენა ბურჯი 50 მ-ით ზედა ბიეფის მიმართულებით;
- კაშხლის სიმაღლის ცვლილება-ნენსკრას კაშხლის სიმაღლე 135 მ-დან შემცირდა 125 მ-მდე და შესაბამისად შემცირდა წყალსაცავის სარკის ზედაპირის ფართობი 3.0 კმ<sup>2</sup>-დან, 2.7 კმ<sup>2</sup>-მდე;
- კაშხლის კონსტრუქციის ცვლილება-ქვანაყარი კაშხლის თავდაპირველი პროექტით გათვალისწინებული ასფალტის გული, შეიცვალა ასფალტის ეკრანით;
- ეკოლოგიური ხარჯის გასატარებელი მილის დიამეტრის ცვლილება-პროექტის თავდაპირველ ვარიანტთან შედარებით ორჯერ გაიზარდა ნენსკრას კაშხლიდან ეკოლოგიური ხარჯის გასატარებელი მილის დიამეტრი (ეკოლოგიური ხარჯის რაოდენობა არ შეცვლილა);
- ჰიდროსაიზოლაციო კედლის სიღრმის გაზრდა-ნენსკრას კაშხლის საძირკველში არსებული ალუვიური ნალექების ეროზიის რისკის შემცირების მიზნით, ჰიდროსაიზოლაციო კედლის სიღრმე ნაცვლად თავდაპირველი პროექტით გათვალისწინებული 65 მ-სა, მიღებულია 85 მ;
- მცირე შენაკადის ღერივაცია-მცირე შენაკადის ღერივაციის დროებით შემცირების ან შეწყვეტის მიზნით, წყალგადასამეხები კაშხლის დიზაინის შეცვლა და წყალსაგდები ნაგებობის დამატება
- დამატებითი რადიალური საკეტების მოწყობა-მყარი ნატანის წყალგამტარ გვირაბში მოხვედრის რისკის შემცირების, ასევე მყარი ნატანის ქვედა ბიეფში ნატანის ტრანსპორტირების პირობების შენარჩუნების მიზნით, ნაკრას კაშხალზე ორი რადიალური საკეტის დამატება;
- ნაკრას წყალგამტარი გვირაბის ჩამკეტი ფარის მოწყობა-ნაკრას წყალმიმღებიდან, ნენსკრას წყალსაცავში წყლის მიწოდების რეგულირების მიზნით, წყალგამტარი გვირაბის შესასვლელ პორტალთან ჩამკეტი ფარის მოწყობა;
- **ნაკრას წყალმიმღების ადგილმონაცვლეობა**-საშიში გეოდინამიკური პროცესების გააქტიურების რისკების პრევენციის მიზნით, ნაკრას წყალმიმღების და წყალგამტარი;
- გვირაბის შესასვლელი პორტალის ხეობის ზედა ნიშნულებზე **გაღანაცვლება** დაახლოებით 622 მ-ით;
- ნაკრას წყალმიმღები გვირაბის დიამეტრის ცვლილება, კერძოდ დიამეტრის შემცირება 4.5 მ-დან 3.5 მ-დე;
- ნაკრას თევზსავალის ტიპის შეცვლა-ნაკრას კაშხალზე დაგეგმილი კიბისებრი თევზსავალის ნაცვლად, მდინარის ბუნებრივ კალაპოტთან მიახლოებული თევზსავალის მოწყობა;
- ჰესის შენობის ცვლილება-თავდაპირველ სქემასთან შედარებით ჰესის ძალური კვანძის ფართობის შემცირება ტურბინების რაოდენობის შემცირებიდან გამომდინარე (ოპტიმიზაციის პროცესში 4 ტურბინის ნაცვლად გადაწყდა 3 ტურბინის დამონტაჟება).“

**მტკიცებულება** - დანართი #1. - 2019 წლის 17 იანვარს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ სკრინინგის განცხადებაზე თანდართული ნენსკრა ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებები - სკრინინგის ანგარიში.

### 3. ფაქტობრივი გარემოება

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში სკრინინგის განცხადების განხილვისათვის ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალების თანახმად, დოკუმენტი განიხილეს:

1. სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტში. დეპარტამენტის ხელმძღვანელის, კარლო ამირგულაშვილის 2019 წლის 30 იანვრის წერილის თანახმად, დეპარტამენტს, ბიომრავალფეროვნების კუთხით, გზმ-ის ჩატარება აუცილებლად არ მიაჩნია; თუმცა, საჭიროდ მიაჩნია, ბიომრავალფეროვნებასთან მიმართებით, სკრინინგის ანგარიშის, ადრე ჩატარებული კვლევების და 2017-2018 წლის მონიტორინგის კვლევების შედეგების საფუძველზე, შემუშავდეს და სამინისტროში შესათანხმებლად წარდგენილი იქნეს განახლებული შემარბილებელი ღონისძიებების და მონიტორინგის გეგმები, არაუგვიანეს 6 თვის ვადაში.

2. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ჰიდრომეტეოროლოგიის და გეოლოგიის დეპარტამენტში. სააგენტოს უფროსის მოადგილემ, 2019 წლის 30 იანვრის N21/264 წერილით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს წარუდგინა სააგენტოს სპეციალისტების **მოსაზრებები, რომლის** თანახმად:

„ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტი:

- ჰიდროლოგიის ნაწილში აღნიშნულ დოკუმენტზე შენიშვნები და რეკომენდაციები არ გაგვაჩნია.
- ნენსკრა ჰესის საპროექტო ცვლილებების ჰიდროლოგიური ნაწილი არ მოითხოვს დამატებით გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის დოკუმენტის შემუშავებას.

გეოლოგიის დეპარტამენტი:

- მდ. ნენსკრას ხეობაში დაგეგმილი საპროექტო ცვლილებები (ნენსკრა ჰესის კაშხალის და მისი მიმდებარე ტერიტორია), თავისი სპეციფიკისა და მასშტაბებიდან გამომდინარე, არ იწვევს მნიშვნელოვან ზემოქმედებას გეოლოგიურ გარემოზე;
- გაცილებით მნიშვნელოვანია მდ. ნაკრას ხეობაში დაგეგმილი ცვლილება სადაც გადაწყვეტილია წყალმიმღები ნაგებობის და წყალგამტარი გვირაბის შესასვლელი პორტალის გადატანა მდინარის ზედა ნიშნულზე და ამჟამად მიღებული ვარიანტის დაცობა თავდაპირველ ვარიანტთან შეადგენს 623 მეტრს. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ წყალმიმღები ნაგებობისა და გვირაბის პორტალისათვის თავდაპირველად შერჩეული უბანი გაცილებით რთულ გეოლოგიურ პირობებში (ტექტონიკური, ლითოლოგიური და გეოდინამიკური თვალსაზრისით) იმყოფება ვიდრე საპროექტო ცვლილების შედეგად შემოთავაზებული ვარიანტი. წყალმიმღები ნაგებობისათვის ამჟამად შერჩეული ტერიტორია გეოლოგიური თვალსაზრისით შესწავლილი იყო 2015 წელს წარმოდგენილ გ.ზ.შ-ს ანარიშშიც, რაც კარგად ჩანს აღნიშნულ დოკუმენტში არსებულ საინჟინრო-გეოლოგიურ რუკაზეც, რომელიც მოიცავს როგორც თავდაპირველ ვარიანტის, ისე საპროექტო ცვლილების შედეგად შერჩეული წყალმიმღების უბნებს და მათ მიმდებარე ტერიტორიებს;
- ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ნენსკრა ჰესის საპროექტო ცვლილებების გეოლოგიური ნაწილი არ მოითხოვს დამატებით გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის დოკუმენტის შემუშავებას“.

**მტკიცებულება** - დანართი #2 - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის 2019 წლის 30 იანვრის # 789/11 წერილი; დანართი #3 - სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილის გიორგი ცაგარეიშვილის 2019 წლის 30 იანვრის N21/264 წერილი

#### 4. ფაქტობრივი გარემოება

2018 წლის 5 ივლისს განვითარებული სტიქიური მოვლენის შედეგად, მკვეთრად შეიცვალა მთლიანად ჭუბერის ხეობის და საპროექტო არეალში არსებული ბუნებრივი და სოციალური გარემო. ილიას უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის ინფორმაციით, „ნენსკრას ხეობაში, 5 ივლისს მომხდარი კატასტროფის მიზეზების შესწავლისას, სატელიტურმა მონაცემებმა გვაჩვენა რომ თოვლის და მყინვარების სეზონურმა დნობამ და 4 ივნისის ინტენსიურმა წვიმამ გამოიწვია მდ. ნენსკრას აუზის მდინარეების აღიდება.“

თუმცა, კატასტროფამდე და კატასტროფის შემდეგ გადაღებული სატელიტური გამოსახულებების დეტალური ანალიზისას გამოიკვეთა, რომ მდ. ნენსკრას განსაკუთრებული, კატასტროფული ადიდება გამოიწვია მის მარჯვენა შენაკად მდ. ჰოკრილას ერთ-ერთ სათავეში ახალწარმოქმნილ მყინვარულ ტბაზე განვითარებულმა მოვლენებმა რომლებიც დამატებით კვლევას საჭიროებს“.

**მტკიცებულება - დანართი #4 - [ილიას უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის განცხადება](#)**

**5. ფაქტობრივი გარემოება**

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტების მიერ ჭუბერის თემში, მდ. ნენსკრას აუზში, სტიქიური პროცესების გამომწვევი მიზეზების დადგენის მიზნით, მომზადდა ანგარიში, შესაბამისი დასკვნებითა და რეკომენდაციებით. დადგინდა, რომ ადგილი ჰქონდა მდ. ნენსკრას ხეობაში უხვი ატმოსფერული ნალექების მოსვლას, ასევე მაღალი ატმოსფერული ტემპერატურების ფონზე ნარჩენი თოვლისა და მყინვართა დნობის აქტიურ პროცესს. ჭარბნალექიანობამ ხეობაში არსებული მეწყერულ-გრავიტაციული უბნების და ღვარცოფული წყალსადინარების გააქტიურება გამოიწვია, განსაკუთრებით მდ. ნენსკრას მარჯვენა შენაკადის - მდ. ოკრილას ხეობაში.

მდ. ოკრილას დინების ქვედა წელიდან მდ. ნენსკრას შესართავამდე ადგილი ჰქონდა ღვარცოფული ნაკადებით მყარი ნატანის და მოგლეჯილი ხე-მცენარეების შედეგად ცალკეულ უბნებზე წყლის ნაკადების მოკლევადიან შეგუბებებს, რომელთა მოცულობების ზრდამ და მათი გარღვევის შემდეგ გაზრდილი ენერჯის ხარჯმა მდ. ნენსკრას დინების ქვემო წელში, განსაკუთრებით დასახლებულ ტერიტორიებზე, ნაპირგარეცხვითი პროცესების ინტენსივობის მკვეთრი ზრდა და დატბორვა გამოიწვია.

სტიქიის შედეგად ლეფორმაცია განიცადა, ან მთლიანად დაინგრა მდინარის ქალაში მდებარე საცხოვრებელი სახლები და დამხმარე ნაგებობები, წაირეცხა სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, დაინგრა რამდენიმე ხიდი, დაზიანდა საავტომობილო გზების ცალკეული მონაკვეთები და მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები.

**მტკიცებულება - დანართი #5 - “მდინარე ნენსკრას ხეობაში 2018 წლის 5 ივლისს განვითარებული სტიქიური პროცესების შეფასების ანგარიში” ეროვნული სააგენტო**

**6. ფაქტობრივი გარემოება**

2019 წლის 4 თებერვალს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა გამოსცა ბრძანება N2- 110 „სს „ნენსკრა ჰიდროს“ ნენსკრა ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილ ცვლილებებზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“. ბრძანების თანახმად, მინისტრმა მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ სს „ნენსკრა ჰიდროს“ ნენსკრა ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებები არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. სს „ნენსკრა ჰიდრო“ ვალდებულია მშენებლობა და ექსპლუატაცია განახორციელოს ნენსკრა ჰესის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაცემული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით #60 02.10.2015წ. დადგენილი პირობების შესაბამისად სკრინინგის განცხადების წარმოდგენილი ცვლილებების გათვალისწინებით;
3. სს „ნენსკრა ჰიდრო“ ვალდებულია სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 6 თვის ვადაში სამინისტროში შესათანხმებლად წარმოადგინოს გარემოსდაცვითი მონიტორინგის განახლებული გეგმები;
4. სს „ნენსკრა ჰიდრო“ ვალდებულია სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 6 თვის ვადაში სამინისტროში შესათანხმებლად წარმოადგინოს ბიომრავალფეროვნების შემარბილებელი ღონისძიებების და მონიტორინგის განახლებული გეგმები;

5. სს „ნენსკრა ჰიდრო“ ვალდებულია სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 6 თვის ვადაში უზრუნველყოს მოსალოდნელ რისკებისა და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების განახლებული გეგმის შემუშავება და სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენა დაგეგმილი ცვლილების გათვალისწინებით;
6. სს „ნენსკრა ჰიდრო“ ვალდებულია სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 6 თვის ვადაში წარმოდგენილი ცვლილებების გათვალისწინებით უზრუნველყოს ნაკრას წყალმომღების ქვედა ბიეფში ეკოლოგიური ხარჯის გაზრდა და შესაბამისი ინფორმაციის სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენა;
7. სს „ნენსკრა ჰიდრომ“ მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს ჰესის სათავე ნაგებობებთან (ნენსკრა, ნაკრა) დონემზომების განთავსება, ხოლო ექსპლუატაციის დაწყებიდან ერთი წლის ვადაში უზრუნველყოს მდინარეების (ნენსკრა, ნაკრა) ხარჯის კვარტალში ერთხელ განსაზღვრა და ინფორმაციის სამინისტროში წარმოდგენა. ექსპლუატაციაში გასვლიდან ერთი წლის შემდეგ, მთელი ექსპლუატაციის პერიოდში განახორციელოს მდინარეების (ნენსკრა, ნაკრა) ყოველდღიური ხარჯის განსაზღვრა და შედეგების 3 თვეში ერთხელ სამინისტროში წარმოდგენა. იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი ინფორმაციის შედეგად დაფიქსირდება წყლის ბიომრავალფეროვნებაზე უარყოფითი ზემოქმედება, ჰესის ოპერირება განახორციელოს სამინისტროს მიერ დადგენილი გაზრდილი ეკოლოგიური ხარჯის შესაბამისად;
8. სს „ნენსკრა ჰიდრომ“ მშენებლობის დაწყებამდე, სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური მოვლენების წინასწარი გაფრთხილების მიზნით სამინისტროსთან შეთანხმებით, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს განგამის სისტემის დანერგვა;
9. სს „ნენსკრა ჰიდრო“ ვალდებულია მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს წარმოდგენილი ცვლილებების გათვალისწინებით განახლებული ნარჩენების მართვის გეგმის სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენა;
10. სს „ნენსკრა ჰიდრო“-სათვის ზემოაღნიშნული პირობები წარმოადგენს 2015 წლის 10 თებერვლის #60 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციისას“.

**მტკიცებულება:** დანართი #6 - „სს „ნენსკრა ჰიდროს“ ნენსკრა ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილ ცვლილებებზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 4 თებერვლის N2-110 ბრძანება

## 7. ფაქტობრივი გარემოება

2019 წლის 19 თებერვალს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს #637/01 წერილით, მწვანე ალტერნატივას გადაეცა „სს „ნენსკრა ჰიდროს“ ნენსკრა ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილ ცვლილებებზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 4 თებერვლის N2- 110 ბრძანებისა და ბრძანების გამოცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მასალების ასლი.

**მტკიცებულება:** დანართი #7 - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის 19 თებერვლის #637/01 წერილი.

## სასარჩელო მოთხოვნა და მისი სამართლებრივი საფუძვლები

### 1. სასარჩელო მოთხოვნა

ბათილად იქნეს ცნობილი „სს „ნენსკრა ჰიდროს“ ნენსკრა ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილ ცვლილებებზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 4 თებერვლის N2-110 ბრძანება.

### მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

1. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას.

მითითებულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნას წარმოდგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის იმ აქტის ბათილად ცნობა, რომელმაც კანონსაწინააღმდეგოდ მესტიის მუნიციპალიტეტში, ჭუბერის და ნაკრას თემების ტერიტორიებზე, არსებითად სახეცვლილი პროექტის, 280 მგვტ. სიმძლავრის ჰესის (ნენსკრა ჰესის) მშენებლობა დაუშვა გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის გარეშე.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი კანონს ეწინააღმდეგება და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას, სასამართლო ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეცილებითი სარჩელის აღძვრისას, სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით უნდა დასაბუთდეს, რომ სადავოდ გამხდარი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ეწინააღმდეგება კანონს და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს.

მოცემულ შემთხვევაში, პირველი მოსარჩელე, წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაციას, რომლის საქმიანობის ძირითად მიმართულებას გარემოსდაცვითი საკითხები, მათ შორის ჰიდროენერგეტიკული პროექტების განვითარების შედეგად ადგილობრივი სოციალური და ელოგიური გარემოს დაცვის უზრუნველყოფა წარმოადგენს, ხოლო მეორე და მესამე მოსარჩელები წარმოადგენენ ჭუბერის თემის მაცხოვრებლებს, სადაც უშუალოდ დაგეგმილია ნენსკრა ჰესის მშენებლობა.

მითითებული დავა წარმოადგენს ეკოლოგიურ დავას, რომელიც წარმოადგენს ე.წ პოპულარულ სარჩელს (Actio Popularis). ეკოლოგიურ დავებზე ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის სასამართლო ხელმისაწვდომობა გარანტირებულია ასევე “გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ” ორჰუსის 1998 წლის 25 ივნისის კონვენციით.

იქიდან გამომდინარე, რომ ეკოლოგია წარმოადგენს მაღალი ინტერესის საჯარო ღირებულებას, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უნდა ჰქონდეს წვდომა ამ სფეროში მართლმსაჯულებაზე.

## **2. რაც შეეხება სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებს:**

მიგვაჩნია, რომ გასაჩივრებული - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 4 თებერვლის N2-110 ბრძანება გამოცემულია კანონმდებლობის უხეში დარღვევით, რის გამოც დასახელებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი შემდეგ გარემოებათა გამო:

**2.3.** სზაკ-ის 5.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

**2.4.** სზაკ-ის 73-ე მუხლის თანახმად:

„3. ადმინისტრაციული წარმოება ხორციელდება ქართულ ენაზე, ხოლო აფხაზეთში – აგრეთვე აფხაზურ ენაზე.



4. თუ დაინტერესებული მხარის განცხადება ან მის მიერ წარდგენილი სხვა დოკუმენტი შედგენილია არასახელმწიფო ენაზე, დაინტერესებული მხარე ვალდებულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში წარადგინოს განცხადების ან დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი.
5. თუ კანონით დადგენილია ვადა, რომლის განმავლობაში ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია შეასრულოს გარკვეული მოქმედება, ეს ვადა დაიწყება მხოლოდ თარგმანის წარდგენისას, ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში.
6. თუ კანონით განსაზღვრულია ვადა, რომლის განმავლობაში დაინტერესებული მხარე ვალდებულია წარადგინოს რაიმე განცხადება ან დოკუმენტი, ეს ვადა დაცულად ჩაითვლება დოკუმენტის არასახელმწიფო ენაზე წარდგენის დროსაც.
7. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია დაადგინოს ვადა წარდგენილი დოკუმენტის თარგმნისთვის, რომელიც არ შეიძლება იყოს სამ დღეზე ნაკლები. ამ ვადის გაშვება შეიძლება გახდეს დაინტერესებული მხარის განცხადების განხილვაზე უარის თქმის საფუძველი“.

წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ 2019 წლის 17 იანვარს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ, მესტიის მუნიციპალიტეტში, სს „ნენსკრა ჰიდროს“ ნენსკრა ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებების სკრინინგის განცხადების განსახილველად წარდგენილი დოკუმენტაციის მნიშვნელოვანი ნაწილი ინგლისურ ენაზე იყო წარდგენილი. კერძოდ, ინგლისურ ენაზე იყო წარდგენილი ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტები, როგორიცაა:

1. ნაკრას დამბის და წყალგამტარი გვირაბის განთავსების ტერიტორიის გეოლოგიური პირობები, თბილისი 2017 - 111 ფურცელი (აქედან მხოლოდ 26 ფურცელი არის ქართულ ენაზე, დანარჩენი 85 ფურცელი, მათ შორის: დანართი 1 - ჭაბურღილების ლითოლოგიური სვეტები; დანართი 2 - შეღწევალობის ტესტები; დანართი 3 - ლუჟონის ტესტები; დანართი 4 - გეოფიზიკური კვლევები - ინგლისურ ენაზე);
2. ნენსკრა ჰესი, საქართველო, საბაზისო პროექტი, გაჟონვის ანალიზი რიცხვითი მოდელირებით, 2016 წლის დეკემბერი - 90 ფურცელი (აქედან, 52 ფურცელი, მათ შორის: დანართი „ა“ გაჟონვის მგრძობელობის ანალიზი - ცხრილები და ნახაზები; დანართი „ბ1“ გაჟონვის ანალიზის შედეგები - ჩამკეტი კედლის ძირი ზღვის დონიდან 1250 მ; დანართი „ბ2“ გაჟონვის ანალიზის შედეგები - ჩამკეტი კედლის ძირი ზღვის დონიდან 1235 მ; დანართი „ბ3“ გაჟონვის ანალიზის შედეგები - ჩამკეტი კედლის ძირი ზღვის დონიდან 1225მ - წარმოდგენილია ინგლისურ ენაზე);

ჯამში წარდგენილი 628 ფურცლიდან 137 ფურცელი არასახელმწიფო ენაზე იყო წარდგენილი.

იმის გარდა, რომ სამინისტრო პირდაპირ კანონმდებლობით იყო ვალდებული, მოეთხოვა სახელმწიფო ენაზე შესრულებული დოკუმენტების წარდგენა ქართულ ენაზე ადმინისტრაციული წარმოების უზრუნველყოფის მიზნით, მითითებულ ვალდებულებას ორმაგი მნიშვნელობა ენიჭება გარემოსდაცვით საკითხებთან მიმართებით, სადაც სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ყველა მსგავსი დოკუმენტის რეალური ხელმისაწვდომობა დაინტერესებული პირებისთვის. მოცემულ შემთხვევაში, კი, დაინტერესებულ პირებს, განსაკუთრებით კი ადგილობრივ მოსახლეობას, ფაქტობრივად არ მიეცათ შესაძლებლობა გაცნობოდნენ პროექტთან დაკავშირებულ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტაციას და მათი გაცნობის შედეგად დაეფიქსირებინათ შესაბამისი პოზიცია პროექტთან მიმართებით.

### **3. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი:**

**3.1.** გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-3 მუხლის „ფ“ ქვეპუნქტის თანახმად, სკრინინგი არის პროცედურა, რომელიც განსაზღვრავს გარემოზე ზემოქმედების შეფასების/სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ჩატარების საჭიროებას.

კოდექსის მე-7.2 მუხლის საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია საქმიანობის დაგეგმვის შედეგებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე სამინისტროს წარუდგინოს დაგეგმილი საქმიანობის სკრინინგის

განცხადება და სამინისტროსგან მიიღოს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს.

კოდექსის 8.2 მუხლის თანახმად, თუ სამინისტრო სკრინინგის პროცედურის დასრულების შემდეგ დაადგენს, რომ დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს არ ექვემდებარება, განმცხადებელი ვალდებულია დაიცვას საქართველოში არსებული გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნები და გარემოსდაცვითი ნორმები. სკრინინგის გადაწყვეტილებით რაიმე დამატებითი ვალდებულებების დაკისრების შესაძლებლობას კოდექსი არ ითვალისწინებს.

მიუხედავად აღნიშნულისა, როგორც გასაჩივრებული აქტის ტექსტიდან ირკვევა, სამინისტრომ სს „ნენსკრა ჰიდროს“, სკრინინგის გადაწყვეტილებით, დამატებითი ვალდებულებები დააკისრა: სამინისტრომ, გადაწყვეტილებაში პირობების დამატებით, სს „ნენსკრა ჰიდროს“ დაავალა ისეთი ქმედებების განხორციელება, რომელიც სცდება არსებული გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნების და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვას. ამასთან, სამინისტრომ სს „ნენსკრა ჰიდროს“ დაავალა ისეთი დოკუმენტების მომზადება (მაგ., გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმები, ბიომრავალფეროვნების შემარბილებელი ღონისძიებების და მონიტორინგის გეგმები, მოსალოდნელ რისკებისა და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა; ნარჩენების მართვის გეგმა და ა.შ.), რომელთა მომზადება გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესწავლის ეტაპზე ხდება. აღნიშნული ადასტურებს, რომ პროექტი უნდა დაექვემდებარებულიყო გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

**3.2** გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-6 მუხლის თანახმად, სკრინინგის განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 10 დღისა და არაუგვიანეს 15 დღისა, სამინისტრო შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს:

- ა) საქმიანობის მახასიათებლები:
  - ა.ა) საქმიანობის მასშტაბი;
  - ა.ბ) არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება;
  - ა.გ) ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით – წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება;
  - ა.დ) ნარჩენების წარმოქმნა;
  - ა.ე) გარემოს დაბინძურება და ხმაური;
  - ა.ვ) საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი;
- ბ) დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი თავსებადობა:
  - ბ.ა) ჭარბტენიან ტერიტორიასთან;
  - ბ.ბ) შავი ზღვის სანაპირო ზოლთან;
  - ბ.გ) ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები;
  - ბ.დ) დაცულ ტერიტორიებთან;
  - ბ.ე) მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიასთან;
  - ბ.ვ) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან და სხვა ობიექტთან;
- გ) საქმიანობის შესაძლო ზემოქმედების ხასიათი:
  - გ.ა) ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათი;
  - გ.ბ) ზემოქმედების შესაძლო ხარისხი და კომპლექსურობა.

ადმინისტრაციული წარმოების მასალები არ მოიცავს რაიმე დოკუმენტს, რომელიც დაადასტურებდა, რომ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ზემოჩამოთვლილი კრიტერიუმების საფუძველზე. როგორც ფაქტობრივ გარემოებებშია მითითებული, ადმინისტრაციული წარმოების მასალებში წარმოდგენილია მხოლოდ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის და გარემოს ეროვნული სააგენტოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გეოლოგიის დეპარტამენტების სპეციალისტების მოსაზრებები. საგულისხმოა, რომ ორივე წერილს ხელს აწერს სრულყოფილი ერთეულების ხელმძღვანელი

პირები, ხოლო წარდგენილი „მოსაზრებების“ ავტორების ვინაობა უცნობია. შესაბამისად, უცნობია, რამდენად გააჩნდათ ამ ადამიანებს შესაბამისი კომპეტენცია, დროის საკმაოდ მოკლე მონაკვეთში, ყოველდღიურ საქმიანობასთან შეთავსებით, შეესწავლათ, მათ შორის, ინგლისურ ენაზე შედგენილი, მოცულობითი დოკუმენტები.

**3.3.** სკრინინგის გადაწყვეტილების მისაღებად წარდგენილი სკრინინგის ანგარიშიდან ირკვევა, რომ ნენსკრა ჰესის პროექტმა, რომელზეც 2015 წლის ოქტომბერში გაიცა დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, განიცადა მნიშვნელოვანი ტექნიკური, ტექნოლოგიური და ადგილმდებარეობის ცვლილებები და პრაქტიკულად, პროექტი ახალი სახით ჩამოყალიბდა. ამასთან, კომპანიამ ჩაატარა ბუნებრივი და სოციალური გარემოს დამატებითი კვლევები, რომლის შესახებ ინფორმაცია ცნობილი არ იყო 2015 წელს (როდესაც სამინისტრომ გასცა დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა), რასაც ადასტურებს სკრინინგის ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია. პროექტის ტექნიკური, ტექნოლოგიური და ადგილმდებარეობის ცვლილებებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

- **კაშხლის ღერძის ცვლილება** - მარჯვენა ბურჯი გადაადგილება 100 მ-ით ზედა ბიეფის მიმართულებით, ხოლო მარცხენა ბურჯი 50 მ-ით ზედა ბიეფის მიმართულებით;
- **კაშხლის სიმაღლის ცვლილება** - ნენსკრას კაშხლის სიმაღლე 135 მ-დან შემცირდა 125 მმდე და შესაბამისად შემცირდა წყალსაცავის სარკის ზედაპირის ფართობი 3.0 კმ<sup>2</sup>-დან, 2.7 კმ<sup>2</sup>-მდე;
- **კაშხლის კონსტრუქციის ცვლილება** - ქვანაყარი კაშხლის თავდაპირველი პროექტით გათვალისწინებული ასფალტის გული, შეიცვალა ასფალტის ეკრანით;
- **ეკოლოგიური ხარჯის გასატარებელი მილის დიამეტრის ცვლილება** - პროექტის თავდაპირველ ვარიანტთან შედარებით ორჯერ გაიზარდა ნენსკრას კაშხლიდან ეკოლოგიური ხარჯის გასატარებელი მილის დიამეტრი (ეკოლოგიური ხარჯის რაოდენობა არ შეცვლილა);
- **ჰიდროსაიზოლაციო კედლის სიღრმის გაზრდა** - ნენსკრას კაშხლის საძირკველში არსებული ალუვიური ნალექების ეროზიის რისკის შემცირების მიზნით, ჰიდროსაიზოლაციო კედლის სიღრმე ნაცვლად თავდაპირველი პროექტით გათვალისწინებული 65 მ-სა, მიღებულია 85 მ;
- **ნაკრას წყალმიმღების ადგილმდებარეობის შეცვლა** - ნაკრას წყალმიმღების და წყალგამტარი გვირაბის შესასვლელი პორტალის ხეობის ზედა ნიშნულებზე გადანაცვლება დაახლოებით 622 მ-ით;
- **ნაკრას წყალმიმღები გვირაბის დიამეტრის ცვლილება** - დიამეტრი შემცირდა 4.5 მ-დან 3.5 მ-მდე;
- **ტურბინების რაოდენობის ცვლილება** - ოთხი ტურბინის ნაცვლად, იგეგმება სამი ტურბინის დამონტაჟება.

აღნიშნული ცვლილებებიდან ნათელია, რომ პროექტმა რომელზეც გაიცა დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა 2015 წელს, როგორც **ტექნიკურად და ტექნოლოგიურად, ისე ადგილმდებარეობის თვალსაზრისით**, განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები და ჩამოყალიბდა, თვისებრივად, ახალი/სხვა პროექტის სახით. ამდენად, საქმიანობის განმახორციელებელს უნდა წარმოედგინა და შესაბამისად, სამინისტროს უნდა განეხილა, არა ცალკეული ცვლილებები, არამედ ახალი პროექტი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნენსკრა ჰესის პარამეტრების ცვლილების გარდა, 2018 წლის 5 ივლისს განვითარებული სტიქიური მოვლენის შედეგად, **შეცვლილია საპროექტო არეალის და მთლიანად ჭუბერის ხეობის არსებული ბუნებრივი და სოციალური გარემოც**, რაც გასახილველად წარდგენილ ანგარიშში არ იყო ასახული. 2018 წლის 5 ივლისს განვითარებული მოვლენები დარგის მკვლევარებმა კლიმატის ცვლილების შედეგად გააქტიურებული პროცესებით ახსნეს. საკითხი შესწავლილი უნდა ყოფილიყო როგორც ახლად გამოვლენილი გარემოება და შესაბამისად, უნდა შეფასებულიყო შეცვლილი გარემო პირობების ზეგავლენა დაგეგმილ პროექტზე. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში კი, ნათელია, რომ სამინისტროს საერთოდ უურადლების მიღმა აქვს დატოვებული ის გარემოება, რომ არსებითად შეცვლილია საპროექტო არეალის გარემო

და 2015 წელს ჩატარებული კვლევები და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა სრულიად არარელევანტურია დღეს არსებული მოცემულობისთვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე ნათელია, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს უნდა ეხელმძღვანელა კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ქვეპუნქტით, რომლის თანახმად, საქმიანობა ექვემდებარება გზმ-ს; ვინაიდან, მიუხედავად იგივე სახელწოდებისა, განსახილველად და სკრინინგის გადაწყვეტილების მისაღებად წარდგენილი იქნა ახალი პროექტი (განსხვავებული ტექნიკური გადაწყვეტით, შეცვლილი მდებარეობით და შეცვლილი გარემო პირობებით), რომელიც წარმოადგენს კოდექსის პირველი დანართით განსაზღვრულ საქმიანობას (2 მეგავატი და მეტი).

**4. „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის მე-6 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, „ყოველი მხარე ვალდებულია უზრუნველყოს, რომ თუ სახელმწიფო ორგანო ხელახლა განიხილავს ან დახვეწს სამოქმედო პირობებს პირველ პარაგრაფში მოცემული საქმიანობისათვის, აგრეთვე მაშინ, როდესაც ეს მიზანშეწონილია, გაითვალისწინოს წინამდებარე მუხლის მეორე – მეცხრე პარაგრაფის დებულებები შესაბამისი ცვლილებებით (mutatis mutandis)“.**

სს „ნენსკრა ჰიდროს“ ნენსკრა ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე 2015 წლის 2 ოქტომბერს გაცემული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გადაწყვეტილება, ისევე როგორც გასაჩივრებული აქტით მიღებული გადაწყვეტილება, მიღებული იყო კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფის მე-13 პუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობაზე: „ჯებირები/კაშხლები და სხვა ნაგებობები, რომლებიც წყლის შესაკავებლად ან დასაგროვებლად გამოიყენება, სადაც ახალი ან დაგროვებული წყალი 10 მილიონ კუბურ მეტრს აღემატება“ - სკრინინგის ანგარიშის თანახმად, პროექტის ერთ-ერთი კომპონენტია „125 მ სიმაღლის (თავდაპირველი პროექტით გათვალისწინებული იყო 135 მ სიმაღლის კაშხლის მოწყობა) და 870 მ სიგრძის ასფალტით მოსახული ქვანაყარი კაშხალი, რომელიც შექმნის დაახლოებით 176.0 მლნ მ3 მოცულობის (2015 წლის პროექტით 182 მლნ) და 2.7 კმ2 (თავდაპირველი პროექტით 3 კმ2) სარკის ზედაპირის მქონე წყალსაცავს“.

„გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის მე-6 მუხლის მეორე – მეცხრე პარაგრაფის დებულებების შესრულება გადაწყვეტილების მიღების პროცესის სკრინინგის ეტაპზე დასრულებით შეუძლებელია. 7 სამუშაო დღის განმავლობაში საზოგადოებისაგან კომენტარების მიღებისათვის 628-გვერდიანი დოკუმენტის გამოქვეყნება (აქედან 137 ფურცელი არასახელმწიფო ენაზე) ვერ განიხილება დაინტერესებული საზოგადოების ადეკვატურად, დროულად და ეფექტურად ინფორმირებად და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეფექტურად ჩართვის შესაძლებლობად.

**5.** სადავო აქტის სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტის თანახმად, სს „ნენსკრა ჰიდრო“ ვალდებულია მშენებლობა და ექსპლუატაცია განახორციელოს ნენსკრა ჰესის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაცემული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით #60; 02.10.2015წ. დადგენილი პირობების შესაბამისად სკრინინგის განცხადების წარმოდგენილი ცვლილებების გათვალისწინებით; მითითებული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის 1-ლი პუნქტის თანახმად, კი კომპანია ვალდებულია „უზრუნველყოს გზმ-ს ანგარიშით წარმოდგენილი შემარბილებელი ღონისძიებების, ნარჩენების მართვის გეგმის, გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმების შესრულება მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში.“ შესაბამისად, ნენსკრა ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში ერთადერთი შესასრულებლად სავალდებულო დოკუმენტი, რომელიც გარემოზე შემარბილებელ ღონისძიებებსა და სხვა გარემოსდაცვით საკითხებს ითვალისწინებს 2015 წელს, ადგილმდებარეობითა და ტექნოლოგიური თვალსაზრისით სრულიად განსხვავებულ პროექტზე შესრულებული გარემოზე ზემოქმედების ანგარიშია.

ზემოთ განხილული გარემოებებით, მათ შორის სახეცვლილი პროექტისა და 2018 წელს სტიქიური უბედურების შედეგად საპროექტო არეალის არსებითი ცვლილება, ნათელს ხდის, რომ 2015 წელს სხვა პროექტთან დაკავშირებით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი ღონისძიებები სრულიად არარელევანტური იქნება მითითებული პროექტით გათვალისწინებული ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციისთვის.

ამასთან ხაზი უნდა გაესვა იმ გარემოებას, რომ სკრინინგის განცხადებას თანდართული ჰქონდა კომპანიის მიერ განხორციელებული არაერთი კვლევა, მათ შორის შემდეგ საკითხებზე:

- ზურმუხტის ქსელის კანდიდატ საიტზე ზემოქმედების შესაბამისობის შეფასების ანგარიში და ბუნების კონსერვაციის მნიშვნელოვანი უბნების მონიტორინგზე პასუხისმგებელი უწყების დეკლარაცია (ე.წ. მიზანშეწონილობის შეფასება);
- ნაკრას დამბის და წყალგამტარი გვირაბის განთავსების ტერიტორიის გეოლოგიური პირობები;
- გეოფიზიკური კვლევების ანგარიში;
- ნენსკრას კაშხლის ფილტრაციისა და სადრენაჟო სისტემის შეფასება;
- ნენსკრას კაშხლის გაჟონვის ანალიზი რიცხვითი მოდელირებით;
- ჰიდროლოგიური კვლევის ანგარიში;
- მიმყვან გვირაბის გაყვანასთან დაკავშირებული რისკები და ექსკავაციის მეთოდები;
- ბუნებრივი კატასტროფები და კაშხლის უსაფრთხოება;

**სადავო აქტი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეყრდნობა გზმ-ს გარეთ ჩატარებულ კვლევებს, თუმცა ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ არც ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში და არც ამ პერიოდამდე აღნიშნულ კვლევებს არ გააჩნიათ არანაირი სამართლებრივი ძალა, და იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი ითვალისწინებენ რაიმე გარემოსდაცვით ინსტრუმენტებს მისი შესრულება კომპანიას არ ევალება, შესაბამისად იმის მიუხედავად რომ სამინისტრო უშუალოდ ეყრდნობა ამ კვლევებს, საბოლოოდ მათში ასახული ღონისძიებების შესრულება სახელმწიფოს ზედამხედველობის გარეთ რჩება განახლებული გზმ-ს არარსებობის გამო.**

**6. მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ასევე სადავო აქტის დაუსაბუთებლობა.** სზაკ-ის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას.

... მიღებულ გადაწყვეტილებას წაეყენება დასაბუთების ვალდებულება იმდენად, რამდენადაც ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამორიცხოს თვითნებური, მიკერძოებული, არაკვალიფიციური გადაწყვეტილება და უნდა დაასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილების კანონთან შესაბამისობა და კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობა. მოტივირებული, დასაბუთებული გადაწყვეტილება კანონიერი გადაწყვეტილების წინაპირობას წარმოადგენს. დასაბუთებაში კი არგუმენტირებულად უნდა მიეთითოს ყველა იმ გარემოებაზე, რომლის შესაბამისადაც მიღებულ იქნა ზუსტად ეს კონკრეტული გადაწყვეტილება და უარი ეთქვა სხვა სახის გადაწყვეტილებას“ (სუს საქმე №ბს-525-512(კ-14) 19.02.2015წ გადაწყვეტილება).

მართალია სადავო აქტში პირდაპირ მითითებულია ციტატა „წინამდებარე გადაწყვეტილებაში მოცემულია დასაბუთება თუ რატომ არ საჭიროებს პროექტი გზმ-ს, თუმცა სამწუხაროდ გადაწყვეტილებაში ვერ ვხვდებით რეალურ, სამართლებრივ დასაბუთებას იმასთან დაკავშირებით, თუ რაზე დაყრდნობით მიიღო სამინისტრომ პროექტის გზმ-სგან გათავისუფლების გადაწყვეტილება.

აქვე, გადაწყვეტილებაში ვხვდებით, ფრაზას, რომლის თანახმადაც „იმ შენიშვნების შესახებ, რომელთა გათვალისწინება არ მოხდა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, შესაბამისი არგუმენტაციის არარსებობის გამო, დამატებით ეცნობება განმცხადებელს.“ თუმცა უცნობია რა ფორმატით და როდის ეცნობებათ განმცხადებლების აღნიშნულის თაობაზე, როდესაც მსგავს მექანიზმს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს და ერთადერთი ინსტრუმენტი, რომლითაც დაინტერესებული მხარე ახორციელებს ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების ზედამხედველობასა და იგებს მის მიერ წარდგენილი

პოზიციების გაუთვალისწინებლობის არგუმენტაციის თაობაზე, სწორედ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთებულობაა.

**ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ, დააკმაყოფილოთ წარმოდგენილი სარჩელი და ბათილად ცნოთ სადავო აქტი.**

### მტკიცებითი შუამდგომლობები

მოწმე	ფაქტობრივი გარემოება(ები)
ექსპერტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)
სპეციალისტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.

### სხვა სახის შუამდგომლობები

#### 1. მოთხოვნა

სასკ-ის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს მიერ შეჩერდეს „სს „ნენსკრა ჰიდროს“ ნენსკრა ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილ ცვლილებებზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 4 თებერვლის N2-110 ბრძანების მოქმედება;

#### არგუმენტაცია:

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის თანახმად, ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. ადმინისტრაციული მართლმსაჯულების ორგანიზაცია და პროცესი უნდა პასუხობდეს მოქალაქის კონსტიტუციურ უფლებას საჯარო ხელისუფლების მიმართ მისი უფლების ეფექტურ დაცვაზე. ეფექტური მართლმსაჯულება გულისხმობს არა მარტო დარღვეული უფლების აღდგენას, არამედ დროებით დაცვას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს, **საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე უფლების პრევენციული დაცვა. (საქართველოს უზენაესი სასამართლო №ბს-1013-1009(2კს-17) 22 თებერვალი, 2018 წ.**

სასკ-ის 29-ე მუხლით გათვალისწინებული უფლების დროებითი დაცვის ღონისძიება - გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება წარმოადგენს ამავე კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე აღძრული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას.

ადმინისტრაციული სამართლისთვის დამახასიათებელია სუსპენზიური ეფექტის, როგორც უფლების დაცვის პრევენციული საშუალების არსებობა, რომლის მეშვეობითაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება დროებით ჩერდება, კერძოდ, გასაჩივრების შემდგომ, საჩივარზე ადმინისტრაციული წარმოების

დასრულებამდე ან სასამართლოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

სასკ-ის 29.1 მუხლის თანახმად, სარჩელის მიღება სასამართლო წარმოებაში აჩერებს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედებას. ამასთანავე, მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს იმ შემთხვევათა ჩამონათვალს, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება ავტომატურად არ ჩერდება. „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ-ერთ ასეთ შემთხვევაა, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი წარმოადგენს აღმჭურველ აქტს.

სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი წარმოადგენს მატერიალური კანონმდებლობით დაცული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური განხორციელების სწრაფ და ეფექტურ საპროცესო-სამართლებრივ გარანტიას. უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას ერთმანეთს უპირისპირდება მომავალში მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის საჯარო ინტერესი და მხარის ინტერესი, ამდენად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ორივე მხარის კანონიერი ინტერესი მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული. უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება უნდა მოხდეს მოპასუხე მხარის კანონიერი ინტერესის შეზღუდვით იმ გონივრულ ფარგლებში, რაც აუცილებელია მოსარჩელის კანონიერი ინტერესის დაცვისათვის. სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების შემოწმების შედეგად, რაც გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებასა და აღსრულების შეჩერებაზე არსებული ინტერესების ურთიერთშეპირისპირებას. ადმინისტრაციული აქტის მოქმედების შეჩერება ნიშნავს მისი მოქმედებისა და ყველა სამართლებრივი შედეგის გადადებას სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე. დავის სასამართლოში გადაწყვეტამდე კანონი უბრუნებს პირს იმ სამართლებრივ და ფაქტობრივ მდგომარეობას, რომელიც არსებობდა სადავო ადმინისტრაციული აქტის გამოცემამდე. (საქართველოს უზენაესი სასამართლო №ბს-935-927(კს-16) 09 მარტი, 2017 წ.)

**სასკ-ის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, მხარის მოთხოვნით სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედება თუ 1) არსებობს დასაბუთებული ეჭვი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე ან 2)თუ მისი გადაუდებელი აღსრულება არსებით ზიანს აყენებს მხარეს ან შეუძლებელს გახდის მისი კანონიერი უფლებისა და ინტერესის დაცვას.**

მითითებული ნორმიდან გამომდინარე იკვეთება, რომ იმისთვის, რომ სასამართლოს შეაჩეროს აქტის მოქმედება აუცილებელი არ არის ორივე პირობის კუმულატიური არსებობა, არამედ ერთ-ერთის არსებობის შემთხვევაშიც სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს აქტის მოქმედება საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

მოცემულ შემთხვევაში სარჩელში წარმოდგენილი სამართლებრივი დასაბუთება დეტალურად აღწერს სადავო აქტების კანონშესაბამობას, შესაბამისად მოსარჩელის შეფასებით დაკმაყოფილებულია მოთხოვნა სასკ-ის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე დასაბუთებული ეჭვის შექნაზე. მიუხედავად ამისა, მოსარჩელე მხარეს მიზანშეწონილად მიაჩნია ასევე ხაზი გაუსვას, სადავო აქტის შეჩერების მნიშვნელობას გადაწყვეტილების აღსრულებისა და არსებული ინტერესების ურთიერთშეპირისპირების საფუძველზე.

მითითებული დავა წარმოადგენს გარემოსდაცვით დავას. მოსარჩელების ძირითად მიზანს წარმოადგენს დაიცვას სვანეთის უნიკალური გარემო, კერძოდ კი, მესტიის მუნიციპალიტეტში, ჭუბერის და ნაკრას თემების ტერიტორიები, იქ არსებული ეკოლოგიური და სოციალური გარემო უკანონო ჩარევისგან და ისეთი საქმიანობის განხორციელებისგან, რომელიც გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს იქ არსებულ გარემოს. კერძოდ კი, სადავო აქტით, სამინისტრომ დასაშვები გახადა V კლასის 280 მგვტ. ჰიდროელექტროსადგურის პროექტის მშენებლობა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და თანმდევი კვლევების გარეშე. განახლებული

გზმ-სა და შესაბამისი განახლებული შემარბილებელი ღონისძიებების არარსებობა არსებითად გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს ჰესის მშენებლობის პირობებში იქ არსებულ გარემოს, რამდენადაც სადავო აქტის გამო არ არსებობს მესამე პირის საქმიანობის გარემოსდაცვის მიმართულებით შემზღუდავი და საზოგადოებისთვის განჭვრეტადი დოკუმენტი.

აღსანიშნავია, რომ სასამართლოში დავის მიმდინარეობის პერიოდში სადავო აქტის მოქმედების შეჩერება შედის როგორც მოსარჩელის, ასევე სახელმწიფოსა და მესამე პირის ინტერესებშიც. კერძოდ, ამ ეტაპისთვის მესამე პირს სს „ნენსკრა ჰიდროს“ არ გააჩნია მშენებლობის ნებართვა სკრინინგის ეტაპზე წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, სამშენებლო სამუშაოების განხორციელებაზე, შესაბამისად იმ შემთხვევაში, თუ სამინისტროს აქტის მოქმედება არ შეჩერდება, მესამე პირს შესაძლებლობა ექნება მოიპოვოს მშენებლობის ნებართვა და განხორციელოს V კლასის სამშენებლო ობიექტის სამუშაოები, ყოველგვარი გარემოსდაცვითი კვლევებისა და შემარბილებელი ღონისძიებების გარეშე. სასამართლოში დავის მიმდინარეობის პერიოდში სადავო აქტების მოქმედების შეჩერება, კი მოახდენს დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების პრევენციურებას და შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და სადავო აქტების ბათილად ცნობის შემთხვევაში, მესამე პირი თავიდან აირიდებს უსაფუძვლოდ გაღებულ ხარჯებს, ხოლო სახელმწიფო, მესამე პირისთვის მიყენებული ზიანის შესაძლო ანაზღაურების ვალდებულებას.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ თუ სასამართლოს მიერ სადავო აქტების მოქმედება არ შეჩერდება, მითითებულ დავასთან დაკავშირებით სასამართლო დავა გახდება მთლიანად ილუზორული, რამდენადაც სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შემთხვევაში დადგება ის შედეგი რის პრევენციის მიზანსაც ისახავს მოსარჩელე მხარე მითითებული სარჩელის აღძვრით, შესაბამისად იმ პირობებშიც კი თუ მომავალში სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდება შეუძლებელი გახდება მისი აღსრულება, რამდენადაც სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შემთხვევაში ვერანაირი მარეაბილიტირებელი/სადემონტაჟო და ა.შ ღონისძიება ვერ შეძლებს გარემოსთვის მიყენებული ზიანისა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას. შესაბამისად, მითითებულ საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებადობის უზრუნველყოფისთვის აუცილებელია შეჩერდეს სადავო აქტის მოქმედება.

აღსანიშნავია, რომ სადავო აქტების მოქმედების შეჩერება შედის როგორც მოსარჩელის, ასევე სახელმწიფოსა და მესამე პირის ინტერესებშიც, რამდენადაც სასამართლოში დავის მიმდინარეობის პერიოდში სადავო აქტების მოქმედების შეჩერება, მოახდენს დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების პრევენციურებას და შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და სადავო აქტების ბათილად ცნობის შემთხვევაში, მესამე პირი თავიდან აირიდებს უსაფუძვლოდ გაღებულ ხარჯებს, ხოლო სახელმწიფო, მესამე პირისთვის მიყენებული ზიანის შესაძლო ანაზღაურების ვალდებულებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოგმართავთ თხოვნით დააკმაყოფილოთ წარმოდგენილი შუამდგომლობა.

## 2. მოთხოვნა:

საქმეში მესამე პირად ჩაერთოს სს „ნენსკრა ჰიდრო“;

### არგუმენტაცია:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მესამე პირი აუცილებლად უნდა იქნეს საქმეში ჩაბმული, თუ იგი არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი. თუ სამართალურთიერთობაში მონაწილეობს 10 პირზე მეტი, მაშინ სასამართლო საქმეში ჩააბამს მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც ამის სურვილს გამოთქვამენ. მითითებულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნა ეხება, სს "ნენსკრა ჰიდროს"-ს სახელზე გაცემული აქტის ბათილად ცნობას. შესაბამისად, სს "ნენსკრა ჰიდრო" (ს/კ 405112220 მის:ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, მარჯანიშვილის ქ., N 6; ტელ: (032) 2 430 421) წარმოადგენს მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ მესამე პირს აღნიშნული დავის მიზნებისთვის.



დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი განხილვისას?

დიახ	<input type="checkbox"/>	ვის?	რომელი ენის მცოდნე?
არა	<input checked="" type="checkbox"/>		

სარჩელის ფასი — არაქონებრივი ღირებულება

სახელმწიფო ბაჟი — 100 ლარი

სახელმწიფო ბაჟის გადახდის წესი

სახელმწიფო ბაჟი შეიტანება სახელმწიფო ბიუჯეტში, ხაზინის ერთიან ანგარიშზე:

ბანკის კოდი: TRESGE22

ანგარიშის #: 200122900 (იხ. სახაზინო კოდეზი)

1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან? დიახ  არა

რომელი ნორმა?

მტკიცებულება:

2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას? დიახ  არა

რის

საფუძველზე?

მტკიცებულება:

3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას? დიახ  არა

რის

საფუძველზე?

მტკიცებულება:

4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას? დიახ  არა

რის

საფუძველზე??

მტკიცებულება:

შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოსგარეშე) ხარჯების თაობაზე:

5.

SeniSvna-1

გამოიყენეთ თუ არა, სასამართლოსათვის მომართვამდე, ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა?

დიახ  მტკიცებულება:

არა  რადგან

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.

სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.

მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:

- » რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
- » ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
- » სასამართლო ხარჯები;
- » სასამართლოსგარეშე ხარჯები;
- » ყოველდღიური ხარჯები.

### თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

- დიახ**  მორიგების პირობები:
- არა**  რადგან დავის საგნიდან გამომდინარე შეუძლებელია.

SeniSvna-2

### თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

- დიახ**
- არა**  რადგან განსახილველი საქმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მხარისათვის.

### რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?

15 წუთი რადგან ეს დრო არის საჭირო მხარის პოზიციის დასაბუთებისათვის.

### რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?

1 სხდომაში რადგან ერთ სხდომაში დასრულება გონივრულია.

### თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

- დიახ**
- არა**  რადგან

### თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას

ძირითად მისამართზე დროის ოპტიმალური შუალედი: 14:00 - 18:00

### თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

- დიახ**
- არა**  რადგან

## თანდართული საბუთების ნუსხა

1. დანართი #1. - 2019 წლის 17 იანვარს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული „სკრინინგის განცხადება - მესტიის მუნიციპალიტეტში, სს „ნენსკრა ჰიდროს“ ნენსკრა ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებები“ და თანდართული დოკუმენტი - 318 ფურცელი;

2. დანართი #2 გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის 2019 წლის 30 იანვრის # 789/11 წერილი - 1 ფურცელი;
3. დანართი #3 სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილის 2019 წლის 30 იანვრის N21/264 წერილი- 1 ფურცელი;
4. დანართი #4 - ილიას უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის განცხადება - 1 ფურცელი;
5. დანართი #5 - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტების მიერ ჭუბურის თემში, მდ. ნენსკრას აუზში, სტიქიური პროცესების გამომწვევი მიზეზების დადგენის მიზნით მომზადებული ანგარიში- 5 ფურცელი;
6. დანართი #6 - „სს „ნენსკრა ჰიდროს“ ნენსკრა ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილ ცვლილებებზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 4 თებერვლის N2-110 ბრძანება - 7 ფურცელი;
7. დანართი #7 - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის 19 თებერვლის #637/01 წერილი - 1 ფურცელი;
8. ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან - 1 ფურცელი;
9. რწმუნებულებები - 9 ფურცელი;
10. ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი - 1 ფურცელი.

---

ფურცლების საერთო რაოდენობა: 345

### სარჩელის ფორმალური გამართულობა

ამ ფორმის შევსებით თქვენ და სასამართლოს მისაღების მოხელე ამოწმებთ სარჩელის ფორმალურ (და არა შინაარსობრივ) მხარეს. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი პირობის დაუცველობა შესაძლოა გახდეს თქვენს სარჩელზე ხარვეზის დადგენისა და შემდგომში მის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

	დიახ	არა
1. მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ სარჩელი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2. მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის სახელი, გვარი (სახელწოდება), პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი და ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი).	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3. მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4. მითითებულია სხლომაზე დასაბარებელი პირის სახელი, გვარი, ძირითადი მისამართი, ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი. მითითებულია საკონტაქტო პირის მონაცემები.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5. მითითებულია დავის საგანი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6. მითითებულია სარჩელის ფასი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7. მითითებულია თქვენი (სასარჩელო) მოთხოვნა.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
8. მითითებულია სარჩელისათვის თანდართული საბუთების ნუსხა.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
9. სარჩელს ერთვის თანდართული საბუთების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულების წარმოდგენლობა საპატიო მიზეზითაა გამართლებული.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
10. სარჩელს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
11. მითითებულია თქვენი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
12. სარჩელს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს).	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
13. სარჩელი ხელმოწერილია	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
14. სარჩელი და თანდართული დოკუმენტები წარმოდგენილია იმდენი ასლით, რამდენიც მოპასუხე	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

*მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის*

სარჩელი ფორმალურად გამართულია:	სარჩელი ფორმალურად არაა გამართული:		
<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/> <i>ჰუნქტების ჩამონათვალი</i>	<i>ხელმოწერა</i>	<i>სახელი და გვარი</i>

**გთხოვთ, გაითვალისწინოთ!**

სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე \_ თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

	დავით ჭიპაშვილი	
	ეთერი გვრიტიშვილი	

<b>ხელმოწერა</b>	<b>ხელმოწერის სახელი და გვარი</b>	<b>შევსების თარიღი</b>
------------------	-----------------------------------	------------------------

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.